N10635 13.03.2020

საქართველოს პარლამენტის
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარეს

ქალბატონ ნინო წილოსანს

ასლი: საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ 2020 წლის 4 თებერვალს განცხადებითა (რეგისტრირებული ნომრით: 20316) და თანდართული დოკუმენტაციით სსიპ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას" „შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ" საქართველოს კანონპროექტის თაობაზე, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტთან შუამდგომლობის თხოვნით მომართა „საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოებამ".

ადვოკატთა ასოციაციის ადმინისტრაციულ საკითხთა კომიტეტის მიმდინარე წლის 21 თებერვალს გამართულ კომიტეტის სხდომაზე მოწვეულ იყვნენ „საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოების" წარმომადგენლები. კომიტეტის სხდომაზე განხილულ იქნა მომართვის ავტორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შენიშვნები არსებულ კანონპროექტთან დაკავშირებით, რაც სრულად იქნა გაზიარებული ადვოკატთა ასოციაციის ადმინისტრაციული სამართლის კომიტეტის მიერ.

მოგმართავთ თხოვნით, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და გაითვალისწინოთ „საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოების" შენიშვნები აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით და იმსჯელოთ კანონპროექტის ხელახალი გადამუშავების საკითხზე.

პატივისცემით,

დავით ასათიანი

თავმჯდომარე